*პროექტი*

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკისციხეში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 701.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.13.22.039) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე

**საკრებულო ადგენს**

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკისციხეში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 701.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.13.22.039) ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალისათვის“ საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ გათვალისწინებული სარგებლობის უფლების ფორმით (უსასყიდლო უზუფრუქტი), უვადოდ, გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*პროექტის ავტორი: ვალერი ყაჭეიშვილი*